საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

წარმომადგენლობითი საბჭო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი, ტელ/ფაქსი: (+995 222) 7 17 82

ნინოშვილის ქ., №35 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №13

ქ. ბათუმი **05 მაისი, 2016 წ.**

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალის აკადემიური დატვირთვისა და ჯგუფებში სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე“ წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 31 ივლისის №01 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–10 მუხლის, აკადემიური საბჭოს 2016 წლის მარტის №21 დადგენილების, რექტორის მოადგილის სამსახურებრივი ბარათისა (№46817ნ 02.05.2016) და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალის აკადემიური დატვირთვისა და ჯგუფებში სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 31 ივლისის №01 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, წესის «13.3.“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„13.3.“ ჯანდაცვის ფაკულტეტის სპეციალობის კლინიკურ დისციპლინებში პრაქტიკული მეცადინეობა (კურაცია) - არაუმეტეს 10 სტუდენტისა“.

2. აღნიშნული გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე და დაეგზავნოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.
3. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითისაბჭოს სპიკერი,

პროფესორი **დ.ბარათაშვილი**